№ 235
შაბათი, 5 ნოემბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 235
შაბათი, 5 ნოემბერი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია"
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის" რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА".

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ხელმწიფე იმპერატორის ნებართვით, როგორც იციან მკითხველებმა მთელს რუსეთში განსვენებულის ხელმწიფის ძეგლის დასადგმელად, ფული იკრიბება. გაზ. „Рус. Жиз." ამბობს:

კარგი იქმნება ისეთი რამ ძეგლი დავდგათ, რომ არც დრო-ჟამმა და არც სხვა რამე გარემოებამ, არ აღგაოს იგი დედა-მამიწის ზურგიდანაო. ამისთანა ძეგლად სამართლიად ის უნდა ჩავთვალოთ, თუ განსვენებულის სახსოვრად მთელს რუსეთში ყველა წოდებისთვის საერთო სავალდებულო განათლება იქნება შემოღებული, რომლისთვისაც მთავრობას დასჭირდება 15—35 მილიონი მანეთიო. ამ ფულს ადვილად ვიშოვით, თუ შემოსავლის კვალობაზედ გაწერილი გადასახადი შემოღებულ იქმნა ჩვენში. ამ აზრის განხორციელებას უნდა ისწრაფოდეს ყოველი განათლებული და ნამდვილი მამული შვილიო.

სწორედ რომ კარგი საშუალება უპოვნია რუსულს გაზეთს განსვენებულ იმპერატორის სახელის უკვდავ საყოფელად.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ამ დღეებში ლონდონში მეორე წლიური კრება ჰქონდა თავისუფალ შრომისა და იმ მუშათა ინტერესების დამცველ საზოგადოებას, რომელნიც არ ეკუთვნიან მუშათა კავშირს. ეს კრება ნორვეში „ტრედს-იუნიონისტების" მიერ მოხდარ კრების მოწინააღმდეგეა. კრებაზედ სატახტო ქალაქის მუშებმა 60 წარმომადგენელი გაჰგზავნეს და დაბა სოფლებიდგანაც მრავალი მუშა დაესწრო. შეკრებილს მუშებს პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ თავისუფალ შრომის დამცველი საზოგადოება წარმატებაში შედისო, და ამ საზოგადოების დანიშნულებაკი ის არის, მუშათა კავშირის გავლენას ეწინააღმდეგოსო. ორატორმა, სხვათა შორის, განმარტა ისიც, რომ მუშათა პირშეკრულობით მუშაობის აღკვეთა საზარალოა და ინგლისის ვაჭრობასა და წარმოებას ძირს დასცემსო. დასასრულ პრეზიდენტმა გამოუცხადა კრებას, რომ ბილლი მწარმოებელთა პასუხის-გების შესახებ, იმ სახით, როგორც ლორდებმა შეასწორეს, სწორეთ რომ კეთილ-გონიერი კანონია, თავისუფლებისა და სამართლიანობის სული აქვს შთაბერილიო. ორატორის წინადადებანი თვისის განაჩენით თითქმის სავსებით შეიწყნარა კრებამ.

—

**აღმოსავლეთის ომი.** იაპონიისა და ჩინეთის შორის გამოწვეული ომი ამიერიდგან ჩინელების მიწა-წყალზედ გადავიდა. გამარჯვება კვლავ იაპონელებსა რჩებათ.

ჩინეთის ახალი დიქტატორი კუნგი, —ევროპიულად განათლებული კაცია თურმე და დიდნი სახელმწიფონი იმედოვნებენ, რომ იგი მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად პირდაპირ იაპონიას მიჰმართავსო.

გაზ. „Standard"-ს დაბეჯითებით შეუტყვია, რომ ამ ჟამად უცხო სახელმწიფოთა ჩარევა, იაპონია-ჩინელების დასამშვიდებლად, შეუძლებელიაო.

—

**საფრანგეთი.** ალექსანდრე III-ს დასაფლავების დღისთვის სამხედრო სამინისტრო შავის ხავერდით გადაკრულ ფარსა ჰგზავნის, რომლის სიგძე 3 ადლამდე იქნება.

საფრანგეთის ყველა კუთხიდგან იგზავნება პეტერბურგს სამგლოვიარო დეპეშები. ფრანგულმა გაზეთებმა იმას მიაქცია ყურადღება, რომ იმპერატორი ნიკოლოზი II უპასუხოდ არავის სტოვებს და ყველას თავაზიანად ეკიდება. აი რა მიუწერია პასუხად იმპერატორს მარსელის ჟურნალისტებისათვის:

„გულწრფელად გმადლობთ მწუხარებისათვის. მამიჩემის სახელოვანი მეფობა მაგალითს მაძლევს, რომელსაც არ ვუღალატებ და არ გადავსცდები".

ქვრივმა იმპერატრიცამ, თუმცა უბრძანა მინისტრს სახლთ-უხუცესს გრ. ვარანცოვს საპასუხო დეპეშა მიეწერა საფრანგეთის პრეზიდენტისთვის, მაგრამ თითონაც მოუსურვებია პირადად ეპასუხნა პრეზიდენტისათვის და მიუწერია:

„მსურს პირადად გამოგიცხადოთ მადლობა იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ ამ ჩემის სასტიკ მწუხარების გამო.

## ახალი ამბავი

*** მისს იმპერატორებით უმაღლესობას, მემკვიდრე ჩესარევიჩს ტფილისის გუბერნიის მარშლის თ. ბაგრატიონ მუხრან-ბატონისთვის შემდეგი დეპეში მიწერა კეთილ უნებებია: „ტფილისის გუბერნატორმა გადმომცა, რომ ტფილისის თავად-აზნაურობას სურვილი ჰქონია მომსახურებოდა, გთხოვთ, თავადო, მიიღოთ და გადასცეთ თავად-აზნაურობას ჩემი გულ-წრფელი მადლობა".

*** 5 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, იქნება კრება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში. კრებამ უნდა განიხილოს: საადმინისტრაციო საგნები და მოხსენება ა. ლ. ბუტენკოსი სასამართლოში სამოქალაქო საქმეების წარმოების ზოგიერთ გამოურკვეველ წესის შესახებ. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

*** ხშირად გვატყობინებენ სხვადასხვა შორეულს სოფლებიდგან, რომ გაბათილებულის ფულის გამო ათასი საცოდაობა ხდება ხოლმე. მოგეხსენებათ, რომ უმაღლესის მთავრობისაგან გამოცხადებულია, რომ ძველის თარიღის ფული აღარ მიიღება სახელმწიფო ხაზინაშიო.

ეს ამბავი კარგა ხანია, რაც გამოაცხადა მთავრობამ და ვადაც დანიშნა, მაგრამ ზოგიერთს სოფლამდი ამ ხმას, სიშორის თუ უგზობის გამო, ჯერაც ვერ მიუღწევია, და საწყალს უვიცს მკვიდრთ, თუ ერთი ორი გროში მიუგდიათ შავის დღისათვის, ისიც აღარ ადგებათ. მაგალითად აი რასა სწერს ერთი ჩვენი კორესპონდენტი.

ერთი გლეხი ჩამოსულა სოფლიდგან ქალაქში ტანისამოსის სასყიდლად და როცა გარიგებია ვაჭარს, ამოუღია და ჯერ სამ-მანეთიანი მიუცია, მერე ხუთ მანეთიანი, მაგრამ ვაჭარს არც ერთი არ მიუღია, რადგანაც ძველის თარიღისა (1884 წ.) ყოფილა. საწყალ გლეხს ტირილი დაეწყო და გულზედ ხელ დაკრეფილი გაბრუნებულიყო.

კარგს ინებებდა მთავრობა, რომ ვადა ძველის თარიღის ფულის მიღებისა განეგრძო, რადგანაც კავკასიის შორეულს სოფლებს ჯერ არც-კი გაუგიათ მთავრობის განკარგულება.

*** გურამიანთ-კარი (დუშეთის მაზრა): ჩვენის სოფლის ბოლოში „ორღობეში" აგერ სამი წელიწადი

## ფელეტონი

### ბაკების მოძღვრების ავტორს

ჩვენი ბაკების მოძღვარი აკაკი გამოგვეპასუხა. და როგორ გამოგვეპასუხა? სრულიად აახდინა ჩემი წინასწარმეტყველება.

მე, ჩემს წინაწერილში აკაკიზედ ვიწინასწარმეტყველე: ერთი წკიპურტი კიდევ და აკაკის ბუნებას სულ წმინდათ გადაშლი მთელი მისი მრევლის წინაშენა მეთქი. ჯერ წაკითხულიც არ მეგულებოდა აკაკისაგან ეს ჩემი სიტყვები, რომ იმან მართლაცა და გადაშალა თავის ბუნება წინაშენ, არამც თუ თავისი მრევლისა, თვით მთელი ქართველობისა, და დაგვანახვა თავისი ბუნება სრულიად. და აი რა სახით გვეჩვენა.

იმან არ დაიცა პატიოსნება, არ დაიცა, სიცრუვისგან, მეჭორეობისაგან, ცილის წამებლობისაგან თავი ლათასი სხვა საზიზღრებისაგან, რომლებშიაც მე ის დავიჭირე, და, რა გგონიათ, მკითხველო, რაში იცავს თავსა იმ ბრალთაგან, რომელიც მე იმას ვაკისრე? ყველა შეიკნატუნა, ყველა სულ წმინდათ ალოკა. მხოლოდ ითაკილა და ღირსად დაცვისა დაინახა, იცით მკითხველო, რა? სამი წელიწადი იმარხულე, თუ შენ ამას მიხვდები... წარმოუდგენია, რომ იმას დასწამეს, ვითომც არ იცოდეს, რა არის... სკორე! როგორ თუ სკორე არ ვიცი, მაშ რაღა ვიცი, თუ ეგეც არაო! არა გჯერა განა მკითხველო. მაშ აბა ყური დაუგდეთ თვით აკაკის. აკაკი ვილაცას პირით ეკითხება თავისს თავს, „ერთი უწმინდური სიტყვა გიხმარია „სკორე". და ეს სიტყვა, სად გისწავლია, თუ არ ბაკებში"?. აკაკი უპასუხებს, „ბაკებში-კი არა, ეკკლესიაში ვისწავლე, ამ სიტყვას იხსენიებენ წინასწარმეტყველები, მოციქულები, მოწამეები, მახარებლები და სხვანი". (კვალი № 45, 1894 წ., გვ. 15) არც ახლა გჯერა მკითხველო... არ ახდა აქაც ჩემი წინასწარმეტყველება, რომ ერთი კოვზი სასაქმებელი და აკაკიდან აღარა დარჩება რა მეთქი?

აბა, ჩემო ჯოხის ცხენა, რა ძნელია, როცა კაცს თავში ჩაბერილი უშნო შაირების მეტი არა შერჩენიარა! განა ქვეყნად იპოვება ან ერთი უსუსური ბავშვი მაინც არის, ან ერთი პამპულა და ქუჩის მასხარა და გონებაში მყოფი კაცი რომელიც ამას თავის თავს აკადრებს და საქვეყნოდ აღიარებს: ნამუსსაც, პატიოსნებასაც სკორე მირჩევნიან და მიტომ ვარ მისთვის ასრე თავდადებულიო?! სკორე ეკკლესიებში და სამღრთო წერილში ვისწავლეო. განა ასრე ურცხვად და უშნოთ გასცემს ვინმე თავის თავს, რომ დაბადებასა და სახარებაშიც-კი მხოლოდ სკორეს ვეძებდიო. ნუ თუ სოლომონის ეკკლესიასტედამ, ისო სირაქის სიბრძნიდამ, მოსეს დიდებული კანონებიდამ, ივდითისა და ბარუხის დიდებული მაგალითებიდამ ღირს-შესანიშნავი ვერა იპოვნეთ-რა და მარტო სკორეს დააცხერით?!

აკაკის წარმოუდგენია, რომ არა გვჯერა, სკორე იმისი საკუთრება და კარგათ არა ჰქონდეს ეს შესწავლილი. ის ამაში თავდებათ ერთს ვილაცა ჩხარის ღვდელსაც გვიყენებს... ბატონო, თავდები რათ გვინდა. ვისა აქვს იჭვი, რომ ბაკების მოძღვარს სკორე შესწავლილი და სისხლათა და ხორცათ ნაქცევი ექნება! რათა გვაწამებთ ჩვენ ამ უცნაურს ცილსა. ჩვენ მხოლოდ ის მოგახსენეთ, რომ აკაკის ბაკებში უსწავლია მწერლების დაფასება იმ ადგილიდამ, საიდამაც ბაკებში არჩევენ ერთმანერთში ნორჩს საქონელს. ესეც მიტომ მოგახსენეთ, რადგან თქვენვე ჰბრძანებთ, რომ მწერლებს „სასკორედამ" ვარჩევო. და მოგახსენეთ, რათ გინებებიათ ამ უადგილო ადგილას ყურება მეთქი. რაც შეეხება, სკორეს, გვჯეროა, რომ შეადგენს თქვენს საკუთრებას, თქვენს უპირველესს ღირსებას, თქვენს უმაღლეს ცოდნას.

სხვა რითი აახდინა ჩვენი წინასწარმეტყველობა?.—სწვდა ჩვენს „თამარ ლაზნელს".

აქ აკაკი მაგონებს იმ ჭირვეულს ლოთებს, რომელნიც ყველაზედ საცემრად იწევენ, და როდესაც ქვეშ არ მოიქცევენ და თავს ალაგზედ უგლიან, ისინი ქვეშიდამ ხან წვივის ძირზედა და ხ.ნ შარვლის ტოტებზედა წვდებიან საკბენრად. აკაკიმ ჩემი მირთმეული წკეპლები შეაკნატუნა. რაკი მე ველარა დამაკლო-რა, სწვდა ჩემს ნაწერს. რომელს? „თამარ ლაზნელს". რატომ ამას და არა სხვას? აი რატომ. აქ ერთს ადგილას აკაკიმ იცნო თავისი თავი, როგორც სხვა ყველა სამარცხვინო საქმეში, სადაც სხვაზედაც რომ გქონდეს ლაპარაკი, ეგ მიიღებს ხოლმე თავის თავზედ. აი რა სწერია აქა.

მეწილად მხვდა ხვედრი მწარე მძლად სასმო:
ჩვენს ირებსა და წუღულებში ხელებისრევა,
მით წუღულს ვამტკივნებ მე სნეულთა, და ამის გამო
შევიძინევი მომმეთაგან ლანძღვად წყევა.
მაგრამ არ ვეძი დაფნის გვირგვინს, არც მინდა იგი—
დაფნით ღორის თავს გვიმკობენო, ჰკვიცე ბრძანა—
დეე სხვათ მისცენ ეს დიდება, ბევრსა აქვს დინგი—
ღორის თავებით სავსე არის ჩვენი ქვეყანა..
ქება-შემკობის ბევრი მეხნა არ დაგვჭირდება,
თაყვანის მცემთაც გროვა ადვილ შესამენია:
აქვევი ჩვენი უმეცრება და უშვერება,

ყოველ შემოდგომაზედ ქალაქიდგან მომავალს ურმებს სძარცვავენ ღამის რაინდები და ყურადღებას არავინ აქცევს. მამასახლისი თავს იმითი იმართლებს, რომ შარშან-წინ ქურდებს ქალაში ნაპარავი ცხენები დავაყრევინეო. ცხენე’ი ნატახტრის ჩაფრებისა აღმოჩნდაო და მცხეთის ბოქაულმა წამართვა და ჩაფრებს გაუგზავნაო.

⁂ ქ. ფოთი. წარსულს სამშაბათს ქალაქის ხმოსანთ სხდომა ჰქონდათ. მორიგ საქმეთა შორის გადასაწყვეტი იყო რაოდენობა გამგეობის მოხელეთა ჯამაგირისა და ასარჩევნი იყვნენ თითონ ეს მოხელენი, მაგრამ რადგანაც ამ დღისათვის ბ-ნ ნიკოლაძის მოურავად დატმკიცება არ მოვიდა, ორივე ეს საგანი შემდეგის სხდომისათვის გადაიდო. ეს იქნება 9 ნოემბერს. მანამდე ნიკოლაძის დამტკიცებასაც მოელიან, საიდამაც ჯერ არს. საბჭოს უფროსს წევრის (მოურავის მოადგილე) კანდიდატად ასახელებენ თ-დ დ. ე. დადიანს, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარედ ნამყოფს, რომლის პატიოსნება და საქვეყნო საქმის ერთგულება კარგად მოეხსენება ჩვენს საზოგადოებას.

⁂ დაბა აბაშა. ამ ოთხის წლის წინედ აბაშელებმა დიდის ამბით გამოვაცხადეთ, რომ საჯარო წიგნთ-საცავს ვაარსებთო. პირველად გულმოდგინედაც მოვეკიდეთ საქმესა. გავმართედ ქართული წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც წიგნთ-საცავისთვის გადავდეთ. კერძო კაცებმაც შეგვიწყეს ხელი და ჩვენი მეთაური დიდის ბეჯითობით იქცეოდა, ერთის სიტყვით, სრული იმედი გვქონდა, რომ ახლო მომავალში რიგიანი წიგნთ-საცავი გვექნებოდა. მაგრამ.. აგერ ოთხი წელიწადი გადის და ჯერაც არაფერია. ჩვენმა მეთაურმა მალე აიცრუა გული და ამ საქმისთვის მოგროვილი ფულიც ცამ ჩაყლაპა, თუ ქვეყანამ, არავინ უწყის. კარგი იქმნებოდა, რომ, თუ ჩვენს მეთაურს არ შეუძლიან საქმის წამართვა სხვას იმისთანას მაინც გარდასცემდეს, ვისაც შეეძლება ამ სასიკეთო საქმის მოვლა.

⁂ კახეთი. ბუნებისგან უხვად დაჯილდოებულია ჩვენი „ტურფა“ კახეთი, მაგრამ ათი და თხუთმეტი ზედი ზედ გადაბმული სოფელი, რომ დაიაროთ, ერთს რიგიანს სასოფლო სასწავლებელს ვერ შეხვდებით და თუ თითო ოროლა სამინისტრო და სამრევლო სასწავლებელია, ისიც ძლივსღა სულდგმულობს. რაც შეეხება სახალხო წიგნთ-საცავს, იმისი ხსენებელიც არ არის აქ, და არა თუ წიგნთ-საცავი, ისეთი სოფლებიც არის, რომ ორიოდე უბრალო საკითხავს წიგნსაც ვერა ჰნახავთ. სავალალოა ასეთი დაქვეითება ჩვენის ქვეყნის ერთის უმდიდრესის მხარისა!

⁂ ბათუმი. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასწავლებლის შენობა უკვე მთავრდება: ეს მეტად სასიამოვნო ამბავიაო, სწერს „Нов. Обоз“. რადგან მოწაფეთა რიცხვი დღითი დღე მატულობს და გურიიდგანაც კი მოდიან სასწავლებლადაო.

⁂ რუსეთის გაზეთების სიტყვით, განზრახვა აქვთ ამიერ-კავკასიის მხრის გამგეობის დებულების მე-81 მუხლი, რომელშიაც გამორკვეულია ის წესი, რა წესითაც უნდა გაიმიჯნოს სახაზინო მიწები და ადგილ-მამულები, ამ გვარად შეავსონ: საჩივარი ადგილობრივ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოების განაჩენის გამო, თუ სადაო საქმე აღძრულია ცალკე სოფლის საზოგადოებათა შორის სახაზინო მიწებისა და ადგილ-მამულებით სარგებლობის შესახებ, უნდა შეტანილ იქმნას ოთხის თვის განმავლობაში განაჩენის გამოცხადების დღიდგან.

⁂ 3 ნოემბერს მარიამ ტევრი პაჭკაძის ქუჩაზედ მიდიოდა. ძველის არსენალის ქუჩიდგან გამოუვარდი, სოფ. ეკის მცხოვრებელი ბართლომე გიორგის ძე ადამია და ხელიდგან გამოსტაცა ქისა, რომელშიაც 33 მან. და 35 კ. იყო და გაიქცა, მაგრამ წაეწია პოლიციელი ბარანოვსკი, შეიპყრო და პოლიციაში წარადგინა.

⁂ 1 ნოემბერს ტფილისის მცხოვრებელი დარჩო იაგემოვი თეთრის დუქნის მახლობლად ფურგუნიანად ხევში გადავარდა, ქვეშ მოჰყვა და გაისრისა.

⁂ 2 ნოემბერს ივანე მაიერმა პოლიციაში გამოუცხადა, რომ მიხეილის ქუჩაზედ ბაღიდგან 600 მან. ყვავილები მომპარესო. ეჭვი თავისსავე მებაღეზედ გამოაცხადა.

⁂

არ ჰგავს კაცი ჯაბანი,
არცა მეხნილი ჭორისა,
ღარიბებისა დამჩაგრი,
გაუტანელი ტოლისა.

—

არც კარგა კაცი უსაქმო,
მუქთად მჭამელი პურისა,
სისხლში საქმისა არ-მქმნელი,
გარეთ მფანტავი ფულისა.

—

მიყვარს კაცი მშრომელი,
კიდეც გამტანი ტოლისა,
ქვეყნად მფანტავი სიკეთის
და არა მარტო ჭორისა. *)

ლაზრო ახალგორელი

## კორესპონდენცია

**სოფ. ხიმში** (რაჭის მაზრა), 25 ოქტომბერი. ბევრი მშობელი ატირა ამ არა ჩვეულებრივმა ბეგარამ. 13 ოქტომბერს დ. ონიდგან ჩამობრძანდნენ ბ-ნი მაზრის უფროსი, და ბ-ნი რაჭის თავად-აზნაურობის წინამძღოლი ს. ჯაფარიძე ს. ამბროლაურს და 15 ამა თვეს კი კენჭის ყრა დაიწყო. კენჭის ყრა თვით სასამართლო ოთახში იყო გამართული, ოთახს გარედგან ხალხი ბლომად ეხვია. გარეთ მყოფთ სახეზედ ეტყობოდათ, რომ ღრმა ფიქრებში იყვნენ გართულნი. დაღვრემილის სახით, და ცრემლით სავსე თვალებით, უცქეროდნენ იმ ოთახს, რომელშიაც იყო კენჭის ყრა იმათის შვილების და ან სხვა ნათესავებისა. ხან გამოშვებით ოთახიდგან გამოდიოდა კენჭ ამოღებული კაცი და თავისი ნახვედრი კენჭი ხელში ეჭირა; ახლად გამოსულს ოთახიდგან პირველს შეხედვაზედ შეატყობდა კაცი, ნახვედრი ჰქონდა წამავალი კენჭი, თუ არა. თუ ნახვედრი ჰქონდა წამავალი კენჭი, თვალები ცრემლით სავსე გამოჰყვებოდა ოთახიდგანავე, და თუ ნახვედრი არა ჰქონდა, მაშინ კი აივნიდგან ძირს ჩამოხტებოდა, წაავლებდნენ იქვე ამხანაგები ხელს და ახლოს დუქნებში მიდიოდნენ. აქ მომზადებული ჰქონდათ გამხდარის ხარის ხორცი. თუ კი კედელს ახლოს დაჯდებოდა კაცი, თავი სამგან მაინც გაუტყდებოდა იმის ჭამაზედ და ხოლვერაც გაჩნდებოდა. ნახევარს გირვანქა პურს შაურ ნაკლებ ვერ იყიდიდა კაცი, იმ ათ ბოთლიან მედუქნეებისაგან. ამისთანა ძვირობა ვგონებ ხოჯახანის დროს თუ იქნებოდა. ძვირობას ვინ ჩივის, თუ კაცი იშოვნიდა სუფთად მომზადებულს სასმელ-საჭმელს.

კენჭის ამოღება გათავდა თუ არა მეორე დღეს ბ-ნმა მაზრის უფროსმა შეჰყარა ერთად ველევისა, ამბროლაურისა და წესის საზოგადოება და რჩევა ჰქონდათ იმის შესახებ, სად უნდა იყოს აშენებული კლასი და კანცელარია. ველევის საზოგადოებამ დაიჟინა, კრიხულის ხიდის ახლო უნდა აშენდესო. წესის საზოგადოებამ კი მოახსენა ბ-ნს მაზრის უფროსს: გუბერნატორისაგან ხიმშის ჭალა არის გადაწყვეტილი და ჩვენ იმას აქეთ არსად წავალთო. ბ-ნი მაზრის უფროსი რამდენისამე კაცით წავიდა იმ ადგილის დასათვალიერებლად, რომელიც დაეჟინათ ველევის საზოგადოებას. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ბ-ნი მაზრის უფროსი და გამოაცხადა. არ შეიძლება იქ სადაც ველევის საზოგადოებას დაუჟინია, სასწავლებლისა და კანცელარიის აშენება, რადგან ძლიერ უდაბური ადგილია და ხაშმი ეცოდინება ზაფხულობითო. მერე გაშინჯა ხიმშის ჭალა, რომელიც ძლიერ მოეწონა, მისი გაშლილი მოედანი, რიონის ახლოს, და ერთიც კარგ წყარო. აუცილებლად აქ აშენდეს სასწავლებელი და კანცელარიაცაო. დიდის მადლობის ღირსია სოფ. წესის მცხოვრები ზურაბ ნიკოლოზის ძე მაისაშვილი, რომელიც თავისის ხარჯით დაჰპირდა საზოგადოებას ორ კლასიანის სასწავლებლის შენობის აგებას და იმედია თავის დაპირებას არც გაიცრუებს.

ვ. ჭიჭინაძე

---

**რაჭა**, 28 ოქტომბერი. დრო არის ჩავიხედოთ ჩვენს ბეღლებსა და ქვევრებში, რა სარჩოს გვიტოვებს წარმავალი წელიწადი. ჩვენდა სამწუხაროდ, სრულიად უზრუნველ-ყოფილი ვერ გამოვედით წელს ამ მხრით. ჯერ ხომ წასრულმა წელმა ისე დაგვაქვეითა, რომ მთელი რაჭა ამ ზაფხულს გზაზედ იყო გაკრული და სიმინდს ეზიდებოდა, თუ სალიგვერდიდგან და თუ ტყიბულიდგან. ცუდი მოსავლიანი წლები ერთი მეორეს მოსდევს და ხალხი ძალიან შეშინებულია, სხვა არა იყოს-რა, მარტო მრავალ გარდასახადს ველარ უძლებენ და აქა-იქა იფანტებიან, რომ ოჯახიც გამოჰკვებონ, და კანონის მოთხოვნილებაც დააკმაყოფილონ. წინა წლებში რაჭის ყოველ კანცელარიასთან დაარსებული იყო „მალაზიები“, სადაც პური და სიმინდი ხორბლად ინახებოდა, მაგრამ შემდეგში მალაზიებში შენახული პური გაყიდეს სოფელშივე და ფულად აქციეს; ეს ფული დღეს 20,000 მანეთს შეადგენს და ინახება საკრედიტო დაწესებულებაში და, ამას გარდა, იმ გაყიდულ პურისა არის კიდევ მოსაკრები 500 თუმანი, და წლიურად-კი თითო ოჯახს ექვსი შაური ერთმევა მალაზიების სასარგებლოდ, ასე რომ ეს საქმე ძრიელ სასურველ მდგომარეობაშია დაყენებული და რაიმე გაჭირვების დროს დიდი იმედი გვაქვს. მალაზიის ფულს ყოველი გლეხი რიგიანად იხდის და არავითარს წინააღმდეგობას არა სწევენ

საზოგადოდ რაჭაში ასეთი მოსავალი იყო: სიმინდი ქვემო რაჭაში საშუალოდ მოვიდა, ზემოდ ძალიან ნაკლები, პური ზემოდ კარგი, ქვემოდ

*) ეს ლექსი ჩვენ ერთმა 20 წლის ახალგორელმა გლეხ-კაცის შვილმა მოგვიტანა და შეუცვლელად ვბეჭდავთ. ამ ახალგაზდას სულ ერთი წელიწადია, რაც წერა-კითხვა თავის-თავად შეუსწავლია. ვიდრე ან-ბანი არ იცოდა, ლექსებს ზეპირად სთხზავდა თურმე.

რედ.

---

ეც მას თაყვანი, რაც რომ უფრო შესარცხვენია;
აქა ამასთან ჩვენთა მწერალთ ზადი და კილი,
იმათს სიწამხდრეს მიუგმიე სიტყვები ტკბილი,
სთქვი: უამათოთ ქვეყნის ჩარხი არ დაბრუნდება,
იმათს ღრმა აზრთა და გონებას ვერვინ მისწვდება—
და გაიჩარხა შენი საქმე! დასცემენ საყვირს:
შენს ბადალს კაცსა დუნიაზედ ველარ ჰპოვებენ,
და რაც სიზმრებთაც არ უნახავს შენს კალამს და პირს,
ყველა იმასა გიპოვნიან და მოგაწერენ...
ნახავ სიმართლეს, ფეხ-ქვეშ ნათელს და გაბასრულსა,
ნახავ ჩვენს ბედსა ჩვენთ მძლავრთაგან მირს დამარხულსა.
(მათი სისხლი და მათი სული დღესაც სცოცხლობენ:
მათი შვილები მათი სენით მოწყლულნი არიან,
ცხადათ რომ მაღლად მაღალთ აზრთა დაჰქადაგობენ,
ჩუმათ ამ აზრთა შეუწყალათ ფეხ-ქვეშ ჰმუსრავენ).
ყველას გიჩვენებ, შენ ოღონდ-კი დამიგდე ყური:
ჩვენი მწერლების ფეხის ხმასა შენც ნუ აჰყვები—
ტვინის ჩარხები უგულმა აქვთ მათ მომართული—
ყველას უგულმა იგონებენ მათა ყურები;
და ღმერთმა ნუ ჰქნას—შენც უგულმა გეყურებოდეს,
მაშინ ის მოჰყობს, რომ კალამი ჩემი დადუმდეს,
თორემ ქაჯური ლაპარაკი მეც დამჭირდება
და სიბერის დროს უკან გუდა დამეკიდება.

და ამაში აქ თუნდა ბაირონის კალამიც იყვეს, აკაკი ცხადია მარტო სკორეს გამოსძებნიდა. თუკი სახარებიდამ და დაბადებიდამ მეტი ვერა გამოიტანა-რა, აქ უფრო მეტს რას დაინახავდა, სადაც ეს ასრე ნათლათ გამოჰხატეს.

სხვა? რითი ახდინა ჩვენი სიტყვები და რითი იჩინა თავისი ზნე?

სხვა თვისი ცილებისა და ჩირქიანი ხელების ფათურის გასამართლებლათ ბრძანებს, რომ ჩვენც მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ თქვენ ფულები და შრომა ჩაჰყარეთ ბანკშიაო... თურმე აკაკი გარყვნილებას ეძახის, რომ ჩვენა და ჩვენმა მამებმა უკანასკნელი გროშები ჩავყარეთ ბანკის ასაგებათ, იმის დარდგენისათვის არ დავიშურეთ არც შრომა, არც დრო, არც ხარჯი. დიახ, კაცი, რომელიც ტაძრებში მიტომ დადის და თვით საღმრთო წერილს მიტომ კითხულობს, რომ იმათში სკორე გამოქექოს, რასაკვირველია ყველა დიდსა და პატიოსანს საქმეშიც სკორეს გამოსძებნის და სკორეს დაინახავს. ბანკის აგებასა და მაზედ შრომისა და ხარჯის გაწევაშიაც ის მხოლოდ სკორეს ჰხედავს, და კიდეც ალბათ მიტომ არის, რომ უნდა ამ ბანკის გადაყლაპვა ..

სხვა როგორ აახდინა ჩვენი წინასწარმეტყველება და რა უჩვენა თავის ზნეთ ქვეყანას ის ჯერ დამემუქრა, რომ ულუკმა-პუროთ გაგიშვებთო, პირიდამ ლუკმას გამოგაცლითო. შემდგომ... მიითითა... საღმრთო წერილი სათაკილოთ მიაჩნიაო. დიახ, ბატონო, ამ მეორე წკიპურტმა წამოშალა სიღრმიდამ აკაკი ბუნებისა „სკორენი ქვეყნისანი“ და „დაარდგინა სკორესა ზედან!“ როგორც თვითონვე ბრძანებს („კვალი“ № 45, გვ. 15).

დიახ, აკაკი მემუქრება ბანკიდამ გამოძევებას, ლუკმა პურისა პირიდამ გამოცლას. მაგაზედ იჭვი არავისა აქვს, რომ აკაკი არაფერს არ დაჰზოგავს ამისათვის. ამაზედ შეარდგინა იმან მთელი თავისი ახალი მოძღვრება ბაკთა და სანახიროთათვის. მაგრამ, ვარწმუნებთ აკაკის, რომ ამითი მარტო ჩემი წკეპლების ჯავრს იყრის და იმას მაინც ვერ მიწვდება, რისთვისაც შეადგინა თვისი ახალი მოძღვრება. ბანკში, რომლიდამაც ახლა მე მიპირებს გამოძევებას და რომელიც მაგას ისე გასჩხირვია ყელში, ისეთი ტრადიციაა დაფუძნებული და ისეთი საფუძველი არის ჩაყრილი, რომ ბ. აკაკი თუნდა მთელი თქვენი პოდრიადჩიკები და სვავები შერეკოთ შიგა, თუ ერთი მაინც არის ჩვენთაგანი დარჩა იქა, გვეყოლება კიდევ სიგნალის მომცემი, რომ დროზედ დავკრათ საყვირს, გამოვაფხიზლოთ საზოგადოება, დავანახვოთ თქვენი სამარცხვინო საქმენი და დროზედ ამოვღოთ ალიკაპი გამძვინებულს სასას, გააფთრებულს პირს, და გადავარჩინოთ საფრხეს ეგ ერთათ ერთი საქმე, რომელიც ამოდენა შრომით, ხარჯით, მეცადინეობით ძლივს დადგა ფეხზედ და ინახავს ამოდენა საზოგადო წყობილებათა, საზოგადო საქმეთა.

რაც შეეხება მას, რომ უთითებს ჩემზედ-საღმრთო წერილის თაკილს, სხვამ რომ ჰქნას, იქნება შევფიქრიანებულიყავი: შეიძლება რწმუნებოდნენ და ცუდი ბოლო მოჰყოლოდა. მაგრამ, აკაკის სიცრუე და ცილის წამება ისრე შორს არის წასული, რომ დარწმუნებული ვარ, იქაც არარაფერს დაუჯერებენ. ამიტომ, მინამ არ მოვაკლებ აკაკის ჩემს წკეპლებს, მეტადრე საბაკე პონორამაში, მანამ იაგორჩიკა (ბრუციანი) იოსელიანის პორტფელს არ ავაღებინებ ხელში, და არ დავანახვებ ქვეყანას, რომ ბაკების მოძღვრობიდამ და სკორეს ტრფიალებიდამ იაგორჩიკამდის ერთი ბიჯიც არ არის, რომ აკაკი და იაგორჩიკი არიან სანონიმნი.*)

ანტონ ფურცელაძე

*) ამ კილოსთვის ბოდიშს ვიხდი წინაშე მკითხველისა. მაგრამ არიან იმ გვარი პირნი, რომელნიც წარმოადგენენ იმ ერთგვარს სულიერს, რომელზედაც თუ არ კეტი სიტყვა არა სჭრის. აკაკის ბევრჯერ ველაპარაკე როგორც კაცს, და არ შეიგნო. ეგება ამან მაინც გასჭრას და გასჭრის კიდეცა.

ნაკლები; ღვინო საზოგადოდ კარგად მოვიდა. სიმინდს პირველში კარგი ამინდი უდგა, მაგრამ ზაფხულის პაპანაქმა სიცხემ მეტად შეავიწროვა, და რაც ზაფხულის სიცხემ დააკლო, შემოდგომის სიცივეებმა იმსხვერპლა. სექტემბრის პირველ რიცხვებში საშინელი წვიმები დაიჭირა, ზოგიერთი მთები დათოვა, რის გამო სიმინდი დართვილა, დაჭკნა და ააშმორა, ნამეტნავად მთა ადგილებზედ; ყურძენს სიმწიფე შეუშალა და ნემო შეუშინა; ამის გამო კარგად ვერ მოიწია ყურძენი და იმედი არა გვაქვს, რომ კარგი ღვინოები დაგვიდგეს. ამასთან რაჭველებს, განსაკუთრებით გლეხებს, ის ცუდი ჩვეულებაცა აქვთ, რომ რთველი ძალიან ადრე იციან, ყურძენს დამწიფებას არ აცლიან და, რასაკვირველია, ამნაირ ჩვეულებას, ნივთიერად დაზარალების გარდა, სხვა მავნებლობაც ბევრი მოაქვს. კარგი გამოსავალი ჰქონდა აგრეთვე „ყიფიანის“ ვაზის ყურძენსაც: „რქა-წითელი“ ჩვენშიაც ბლომად არის და ეგრეთვე კარგის ჯიშის თეთრი ყურძენიც. სამწუხაროდ, ჩვენებურნი მემამულენი ისევ იმ წესითა და რიგით აყენებენ ღვინოებს, როგორც განსვენებულ ნოეს დაეყენებინა კიდობნიდგან გამოსვლის შემდეგ, და არავითარს ღონისძიებასა და საშუალებას არ ეძებენ, რომ მათმა სახელ განთქმულმა ღვინომ ერი ათად იმატოს თავისი კარგი თვისებანი და რიგიანი ბაზარი მოიპოვოს.

კ. წულუკიძე

## პასუხი „ახალგაზდა მხედარს“

(იხ. «ივერია», № 231)

მომილოცნია, ქალებო! სხვა ქვეყნებში „ქალთა საქმეს“ რომ ვძახიან, ლამის ჩვენშიაც შემოსდგას ფეხი! ლამის ჩვენში დღემდის სადღაც კუთხეში მიგდებული ქალების არსებობა დღეს უფრო სათვალჩინო ადგილზედ გამოვიდეს! განა რომ ეს ქალებისთვის მოსალოცნია?! მართალია, ქალებო, ბევრი უსამართლობა შემოგვეხვევა თავს მამაკაცებისაგან, მაგრამ ბოლოს დროს მაინც არ იქნება რაიმე სარგებლობა არ მოჰყვეს ამას ჩვენის მომავალის ცხოვრებისათვის. ჩვენ-კი, ჩვენის მხრით, როგორც შეგვეძლოს გამოთქმა ჩვენის სიმართლისა (რასაკვირველია, რაშიაც მართლად მიგვაჩნდეს თავი), ისე ვაძლიოთ პასუხი ამ ჟამად ჩვენს „მტრებს“ მამაკაცებს.

მივმართავ ბატონს „ახალგაზდა მხედარს“.

ჯერ გმადლობთ, რომ მარტო ჩვენ არ შემოგვახვიეთ ყოველი უბედურება ბ თქვენი თავიც გაურიეთ შიგ. ეს დიდი ღირსებაა ჩვენს ეგოისტიურ ცხოვრებაში. რასაკვირველია, ჩვენც ბევრში ვართ დამნაშავე. გეთანხმებით, მაგრამ მინდა გაგითვალისწინოთ ის დანაშაულებანი, რომლებსაც თავს გვატეხთ თქვენს წერილში, და სხვამაც თქვენთან ერთად გასაჯოს, არის ამაში მართალი, თუ არა?!

ბრძანებთ, ჩვენი რა ბრალია, რომ თქვენ თითონ არასა სცდილობთ თქვენთვის და არშიყობაზედ ტიკტიკის მეტი არა იცით-რაო; ბავშვი თუ თვითონ არ შემოგეტიროს, ხელში ნუ აიყვანო; ამერიკის შტატებში ქალებმა თითქმის მამაკაცების უფლებები მოიპოვესო და სხ.

უკაცრავად, ბატონო, და ამ შემთხვევაში კი ძალიან მაღალ ფარდებში მოგინდომებიათ ფრენა. ამერიკის ქალებს არამც თუ ეხლა, საუბედუროდ, ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, რომ მიბაძვაც ვერ გავუბედოთ, ქალების სწავლა-განათლება იმ გვარად არის დაყენებული ჩვენში. მაგ გვარი შედარება მხოლოდ მაშინ შეგეძლოთ, თუ რომელსამე ქართველ ქალს, ბუნებით ჩვეულებრივს ნიჭს არ მოკლებულს, გაისტუმრებდით ამერიკაში ალსაზრდელად და იქიდგან საარშიყო ტიკტიკის მეტს ვერას გამოიტანდა. კარგი, ბატონო, ვსთქვათ იმ ქალებს, რომლებიც ეხლა გამოვსულვართ ჩვენის თავის გასამართლებლად და იმათთაც, რომელთა აზრიც ჩვენთან ერთად იხატება — საარშიყო ტიკტიკისა, „ბალსა და ვეჩერებში“ სიარულისა და სხვა ამ გვარ უსაქმობის მეტი არა გვეხერხება-რა, მერე ნუ თუ ამაში თქვენ, მამაკაცებს, არაფერი ბრალი არ გედებათ?არც ერთს თითქმის განათლებულს კაცს არა აქვს ისეთი სამსახური, რომელიც სადილის შემდეგ მოყოლებული მეორე დღემდის თავისუფალი არ იყოს. დავიჯეროთ მოვალეობა არ არის ყოველის მამისა, ერთი თუ ორი საათი განუზიაროს თავისს შვილებს, რა დროსაც იმას შეუძლიან ჩააგონოს უმანკო არსებას, თუ რა დამამცირებელი და მავნებელი თვისებაა ცხოვრებაში მარტო „ბალებსა და ვეჩერებში“ სიარული და ვარდ-კაჭკაჭზედ მუსაიფი... ხომ შეუძლიან თავისუფალი დრო მოახმაროს, როგორც თავისს, ისე საზოგადო სასარგებლო საქმეს, ე. ი. შეასწავლოს ყველა ის, რასაც ქალს სკოლა არ აძლევს? თუ ამას მოუმზადებელი დედები ვერ ვასრულებთ, რატომ თქვენ, მამები, არ ჩასთვლით ამას თქვენ მოვალეობად, იმის მაგივრად, რომ ნახევარზედ უფრო მეტს თავისუფალს დროს ქაღალდის თამაშობაში ატარებდეთ ვითომ-და შრომის შემდეგ დასასვენებლად!!!

რასაკვირველია, ერთხელვე კარგს წრეზედ დაყენებული ქალი უეჭველად ამასვე გადასცემს თავის მომავალ შვილებს და, მერწმუნეთ, მაშინ ზემოხსენებულ თვისებათ ველარ გვიკიჟინებდით. ან-კი როდის გვიყურებთ ქალებს იმ თვალით, რომ იმათაც ვითომც შეეძლოთ რაშიმე თქვენთან თანასწორობა? მამაკაცები უყურებთ ქალს ისე, როგორც ბავშვი თავისს ტიკინს. არავითარს იმის სჯას თქვენს თვალში საფუძველი არა აქვს, რადგანაც ერთხელ დიდი მანძილი დაგიდვიათ თქვენსა და ქალს შორის და, ხომ მოგეხსენებათ ჭკვიანს კაცს, რომ მისდგნენ და შესძახოდნენ ოცდა-ოთხი საათი სულელი ხარო, უეჭველია ზედ-მოქმედებას იქონიებს. ჩვენც ისე გაგვეთქვიფა თავში თქვენგანვე ის აზრი, რომ ვერაფერში ვერ შევძლებთ თანასწორობას, რომ სიტყვის წარმოთქმაც გვიძნელდება საზოგადო საქმეში.

ამის დასამტკიცებლად აიღეთ ჩვენი თითქმის ერთად-ერთი ადგილი, ერთად-ერთი საგანი ჩვენის ერთად შეყრისა, სადაც ყველას შეუძლიან ამოიღოს ხმა, რადგან ყველას ინტერესები უნდა დაიცვას იქ, სადაც ყველანი ერთს ტაფაში იწვიან. მზადა ხართ თავდა-პირველადვე იმას მოანდომოთ დრო, რომ ახალი მუხლი ჩაემატოს ბანკის წეს-წყობილებაში, რომლის ძალითაც ქალებს ნება არა ჰქონდეთ ბანკში სიარულისა! რათა? ბევრს ლაპარაკობენ, რა იმათი საქმეა, მხოლოდ აღელვებენ კაცებსა და აფუჭებენ საქმესაო. მართალია, ქალს, როგორც უფრო მგრძნობიარე არსებას, უფრო შეეტყობა ხოლმე ლაპარაკშიაცა და საქმეშიაც ის, რაც გულს უღელვებს, მაგრამ, მე თქვენ გარწმუნებთ, რომ დამშვიდებაც ბევრი შეუძლიათ ქალებს ყოველს არეულობაში, და თუ დღეს იქ მყოფი ქალები გულის ბუხარს ბანკის ბაღში იყრიან ხოლმე, ისევე თქვენის შეხედულობით დაშინებულნი, ბ თვით კრებაზედ არას ამბობენ, დარწმუნდით, რაც ხანი გავა და საქმეს ჩაუკვირდებიან, მოვა დრო, როდესაც ქალებისაგანაც გაიგონებთ საბუთიანს სჯას, იმაზედ ნაკლებს მაინც არა, როგორც ზოგიერთნი მამაკაცნი ლაპარაკობენ იმავე საერთო კრებაზედ.

რა ჩვენი ბრალია, რომ არავითარს ქალის დაწყობილებას საქმით თქვენგან თანაგრძნობა არა აქვს. ეს თუ ასე არ იყოს, აგერ რამდენი წელიწადია შედგენილა ქალთა წრე, იმ მშვენიერი აზრით, რომ დააარსონ ქალების სასწავლებელი, რომელსაც იქნება შესძლებიყო ჩვენის აწმყო მდგომარეობის შეცვლა საუკეთესოდ, მაგრამ თქვენის მხრით ძალიან ცოტა დახმარებაა! როგორც აიტეხეს ქალებმა, ისე ბოლოც მოუღონო. ერთი თქვენთაგანი არ გამოჩნდა, რომ ბანკის კრებაზედ გულ მხურვალედ დაჰხმარებოდა ქალებს და გამოეგლიჯა საზოგადოებისათვის იმ სკოლის სასარგებლოდ რაოდენიმე თანხა საერთო მოგებიდგან, მაშინ როდესაც ათას გვარ უმნიშვნელო, საქმეზედ მხოლოდ კერძო კაცთა სასარგებლოდ ას-ასობით გვეხარჯება.

მაშ რა ვქნათ, რომ მზითევი არ ავიღოთ, როდესაც თქვენის ფერ-უმარილის ყიდვით და მოდების მიმდევრობით ვალებში ვართ ჩაცვენულნი პოლოს, ყაზარების ხელშიო. ვითომ? ვითომ მართლა მარტო ამ მიზეზითა ხართ პოლოსების ხელში?!. იმისას რაღას ბრძანებთ, რომ მომეტებული ნაწილი თქვენთაგანი საწყალ ქალს არამც თუ უუფერ-უმარილოდ,-უხელსაპნოდაც-კი დასტოვებთ ხოლმე და იმის მამა-პაპეულს მზითევს,-კი იქნება რა წვითა და დაგვით შეძენილს, ერთს ღამეში გადააგებთ ხოლმე ვინ იცის რაზედ და ვისზედ!... რამდენი ყოვლად ღირსული ქალი ჰბერდება ჩვენში გაუთხოვარი, რომელიც გაგიწევდათ ნამცვილს, მოკლედ ვიტყვი, მეუღლეობას, მაგრამ მზითევი არა აქვს და ვერა თხოვდება: „ცოლი ავიკიდო და ისიც უმზითვოო?“ გაიძახით მამაკაცები: მერე თუ რუსული არ იცის ხომ ქვეყანაში შევრცხვითო. მაშასადამე, ამ შემთხვევაში თქვენ ეძებთ ფულს და არა მეგობარს. უეჭველია, რომ მზითევიანს ქალს, მოთხოვნილებაც მეტი ექმნება.

გული იქით მიურბით, სადაც ჭორებს შეიტყობენო, ამბობთ ლექსში. ბევრი ისეთი ქალებიც არიან, რომელთაც სძულთ ჭორები კაცებზედ არა ნაკლებად და ანდომებენ თავისუფალს დროს რაიმე სალიტერატურო შრომას, მაგრამ რას ვხედავთ: იმ ორიოდე ქალის გარდა, რომელთაც უკვე დამსახურებული აქვთ ნდობა ამ საქმეში, არავის შრომას არ მიაქცევთ ყურადღებას, არც-კი გადაიკითხავთ, აბა, ქალის დაწერილი, ანუ გადმოთარგმნილი რა იქნებაო, და თუ როგორმე ჭკუაში მოგივიდათ, შეხვალთ ეჭვში: აქ მამაკაცს ექნება მონაწილეობაო. იმის მაგიერად რომ, ქალის ნაშრომს, როგორც იშვიათს მოვლენას ჩვენში, პირველი ადგილი დაუთმოთ ჟურნალ-გაზეთებში, თუ რომ ცოტაოდნად მაინც ღირსია, არხივში გადასდებთ ხოლმე და იქნება როდისმე მასალის შემოკლებამ მოაძებნინოს რედაქტორს ჩვენგნივ უკვე გამოტირებული ნაღვაწი.

მაგრამ მარტო ერთმანეთის კიცხვითაც საქმეს არ ეშველება. ჩვენი გაზეთიცა და ჟურნალებიც სულ ამ ნაირის ბრალდებით არიან გავსილნი: შენ იმის ცოდნა გაკლია, შენ იმისიო. ეს ხომ დიდი ხანია ყველამ ვიცით, რომ ბევრი რამ გვაკლია, და თუ ამის შეცვლა გვინდა, ვეცადოთ ამას საქმით, ამ შემთხვევაშიაც ურთიერთის დახმარებით გავაუმჯობესოთ ქალების ეხლანდელი მდგომარეობა. შევუწყოთ ხელი ამდენის ხნის დაწყებულს ქალების სკოლის საქმეს და იმედია, მაშინ მივაღწევთ, იმ საგანს რამაც ეს პოლემიკა გამოიწვია.

ნინო ყიფიანისა

სოფ. ქვიშხეთი

## საერო უნივერსიტეტის კურსები ვენაში.

—

ავსტრიის ფინანსთა მინისტრს ამას წინად პარლამენტისათვის წარუდგენია ხარჯთა-აღრიცხვა რომელშიაც სხვათა შორის 5000 ჰულდენი 2,5000 მანეთამდე გადადებულია სუფსიდიად საერო უნივერსიტეტის კურსებისათვის ვენაში. ეს გარემოება იმას ამტკიცებს, რომ მდაბიო ხალხის განათლება უფრო მკვიდრ ნიადაგზედ მყარდება ავსტრიაში.

ამ ჟამად საერო განათლება ავსტრიაში გაცილებით უფრო გავრცელებულია, ვიდრე ამ 15—20 წლის წინად იყო; მეტადრე ამ ბოლო ხანებში იქამდის მიაღწია ამ საქმემ, რომ სოფლებში თითქმის ყველამ იცის წერა-კითხვა სამზრუნავად ეხლა იქ ისლა-აქვთ, რომ რასაც ბავშვობაში ასწავლიან, ხნიერებაშიც არ დაავიწყებინონ სასწავლებლიდგან გამოსვლის შემდეგ. ქალაქებში ისე არ არის კიდევ საშიში, რომ სასწავლებლიდგან გამოსულმა 14 წლის ბავშვმა ყველაფერი დაივიწყოს, რაც უსწავლებიათ, მაგრამ სოფლელი ბავშვებისთვის აქ-კი ეს ადვილად მოსალოდნელია. აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქალაქის მკვიდრნი უფრო მეტის ცოდნისა და განათლების მიღებას არიან მოწადინებულნი, ვიდრე იმათთვის დაარსებულ სასწავლებელში შეიძლება შეძენა ამ ცოდნისა, და სოფლის სასწავლებლებში ხომ კიდევ უფრო ნაკლებს ასწავლიან. ამ ნაკლს ვერც საკვირაო სასწავლებლები ავსებენ, თუმცა ასეთი სასწავლებლები საკმაოდ გამრავლდა ავსტრიაში. ამ სკოლებს უფრო პროფესიონალი და ცალ-მხრივი ხასიათი აქვთ და ხალხი-კი საზოგადო განათლებას თხოულობს. ჰსურს შეიტყოს, მეცნიერებამ რადა-რა შემოიტანა ახალი ცოდნის ამა თუ იმ დარგში. ხალხის ამ მოთხოვნილებას ასე თუ ისე აკმაყოფილებს: „ვენის სავლეხო“ განათლების საზოგადოება. ეს საზოგადოება კარგა ხანია, რაც მოქმედობს და სცდილობს ხალხში ცოდნის გავრცელებას, აარსებს წიგნთ-საცავებს, სასარგებლო წიგნებს ჰბეჭდავს.

ამ რამდენისამე წლის წინად ამ საზოგადოებამ დაარსა საკვირაო სასწავლებლები; ამ სასწავლებლებს იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ აშკარა იყო, ხალხში დიდი სურვილი ტრიალებდა განათლების შეძენისა: ამ გარემოებამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა ზემოხსენებული საზოგადოება, რომ იმის მოღვაწეობას უფრო კეთილი და დიდი გავლენა ექნება ხალხზედ, თუ დაამთავრა თავისი მოქმედება. ამას ის მოჰყვა, რომ საზოგადოებამ კურსები ისე მოაწყო, როგორც ინგლისშია მოწყობილი. ამისთვის დასჭირდათ მეტი ხარჯი, შეჰკრიბეს რამდენიმე ათასი ჰულდენი, მოიმხრეს ახალგაზდა სწავლულნი დოცენტები და დაიწყეს საქმე. როდესაც ფული შემოაკლდათ, მიჰმართეს უნივერსიტეტის მმართველობას (ამან პირველად მხარი არ მისცა საზოგადოებას) და თვით მთავრობაც, საბუთებით დაარწმუნეს, რომ დიდად სასარგებლო საქმეა ასეთის კურსების დაარსებაო. ამით იმას მიაღწიეს, რომ უნივერსიტეტის შუამავლობით მინისტრი დაიყოლიეს და 5,000 ჰულდენი გადაადებინეს ახალს ხარჯთა-აღრიცხვაში ამ საგნისათვის. ამნაირად ვენის უნივერსიტეტმა პირველი მაგალითი უჩვენა გერმანიის სხვა უნივერსიტეტებს, საერო განათლების საქმე სჯობია ისე იქმნას მოწყობილი როგორც ინგლისში.

## სასამართლოს მატიანე

—

გემის «ვლადიმირის» დაღუპვის გამო გამოწვეული პროცესსია ეხლა-კი მალე უნდა დამთავრდეს. 27 ოქტომბერს, როგორც «Нов.» აუწყებენ, ბრალმდებელს ულაპარაკნია და უთქვამს, რომ ზნეობრივად გემის დაღუპვის ბრალი „რუსეთის ნაოსნობასა და ვაჭრობის საზოგადოებას“ ედებაო, რადგან გემებზედ არც გაწვრთნილი მოხელენი ჰყოლია და არც გადასარჩენი იარაღები ჰქონია. კაპიტან კრიუნს ის ედება ბრალად, რომ, იმის ნაცვლად, რომ სხვას დახმარებოდა, მარტო თავისს თავს დახმარებია. მეორე გემის კაპიტანს პეშეს ის დანაშაული მიუძღვის, რომ განსაცდელში ჩავარდნილს „ვლადიმირს“ შემწეობა არ აღმოუჩინა, იმ დროს, როდესაც მას არავითარი გაჭირვება არ ადგა. ბრალმდებელი თხოულობდა თურმე, რომ კრიუნი და პეშე სასჯელთა დებულების მე-1462 და 1468 მუხლ. ძალით დასჯილ იქმნენ და 4 თვით ციხეში დაპატიმრება გადაეწყვიტოთო.

## წერილი სტამბოლიდგან

ოსმალთა აზრი სომხების შესახებ.—სომხების ინტელიგენცია.—სომხები და მათი დაწინაურება სტამბოლში.—სომხები და იმათი ზნეობრივი დაცემა სტამბოლში.—მუშა ხალხი საათარეთში.—ბერძნები - პატრიოტები.—სომხების სამღვდელოება.—პაწაწინა შენიშვნა ინგლისის სტატისტიკოსის აზრის შესახებ.

კაი ხანია, რაც სომხების მოძრაობამ, საათრეთშიაც და ევროპა

შიაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთის წლის წინად აქ ისეთს სომეხს ვერ შეხვდებოდით, რომელიც ალტაცებაში არ ყოფილიყო: „თავისუფლება უნდა ვიშოვნოთ, უნდა აღვადგინოთ ჰაისტანიო“. ყველა ასე გაიძახოდა დიდით პატარამდის. საქმე ისე გამწვავდა, რომ ევროპის გამოჩენილი დიპლომატებიც აალაპარაკა ამათმა საქმემ. მეტადრე ინგლისი აქცევდა მათ საქმეს ყველაზედ მეტს ყურადღებას. არა ერთხელ მოსთხოვეს თათრებს, დაეკმაყოფილებიათ და უზრუნველ ეყოთ იგინი, რომ სომხებს შეუვიწროებლად მაინც ეცხოვრათ სათათრეთში. სხვათა შორის ამასაც ეუბნებოდნენ: «ერო არის, სომხებს თავისი მისცეთო». საზოგადოდ თათრები დიდი დიპლომატები არიან, ამათ ძალიან კარგად იციან დღევანდელი მათი და სხვისი მდგომარეობა. სომხების განთავისუფლების შესახებ აი რას ამბობენ ისინი: „ჩვენ მოვედით ურუმეთში (საბერძნეთში) და არა სასომხეთოში, სომხებს ჩვენ სრულებით არ ვიცნობთ მკვიდრ ხალხადა. ჩვენ ისინი ვიპოვეთ მონებად და არა ბატონადა. რა სიმართლით თხოულობენ თავისუფლებას, არ გვესმისო. ჯერ სომხებმა თავიანთი სამშობლო ნიადაგი გვაჩვენონ და შემდეგ მოითხოვონ თავისუფლება. ისეთი ადგილი არ მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში, რომ ერთი სოფელი მაინც იყოს მარტო სომხებით დასახლებული, ყველგან, როგორც მცირე აზიაში, ისე სხვა თათრის ადგილებში, რომელი სოფელიც უნდა ნახოთ, ასში ორმოც სომეხს ვერ იპოვნით და როგორ ჰგონიათ სომხებს უნდა დაეყმონ თათრებიო? თუ გინდა რომ ასეც ვქნათ განა შესაძლებელია? განა თათრის ხალხი იყაბულებს სომხების ბატონობას, თუ კი სომხებს არ ეპრიანებათ ჩვენი ბატონობა, ჩვენ როგორღა ვიყაბულებთ მათსას, მაშინ, როცა დღეს ისინი ერთმანეთშიაც ვერა თავსდებიან და, როცა ყველგან თათრები მეტია სომხებზედაო. ჯერ ღირსნი არ არიან თავისუფლებისა, ამათ რაც პატივი აქვთ ჩვენში, ისიც ეყოფათო. როცა ისინი სხვა გვარსავით ერთ ნიადაგში შევლენ, როცა ისინი უმრავლესნი იქნებიან თავიანთად წოდებულს ადგილებში, მაშინ შეუძლიანთ ითხოვონ. თორემ ეხლა, სანამ ისინი, მთელს ქვეყანას მოსდებიან, თავისუფლების თხოვნის უფლება არა აქვთ და არც ჩვენ ვართ მოვალე რამე მივცეთო. ყოველ შემთხვევაში, სომხებმა იმათ მოსთხოვონ თავიანთი საკუთრება, ვინც წაართვა, ჩვენ რაც არწაგვირთმევია, რა უნდა მივსცეთ. თათრებმა სომხებს ბევრი რამ მიანიჭეს კიდეცა, მაგალითად, საერო კრება, საკუთარი სკოლები, სასულიერო სამსჯავრო და სხვა პატივი. აბა ერთი გვაჩვენონ სხვაგან სადა აქვთ ამდენი უფლებაო“.

სომხები და მათი ინტელიგენცია, ძალიან დაწინაურებულნი არიან დღეს სათათრეში. აქ ისეთ დაწესებულებას ვერ ჰნახავთ, რომ უმეტესი ნაწილი სომხობა არ იყოს მოხელეებად. გარდა მინისტრის ადგილებისა, თითქმის ყველა ამათ უჭირავთ, ხან მინისტრობამდინაც მიაღწევინებენ ხოლმე სოლთ. ამ რამდენიმე წლის წინად ფინანსთა მინისტრი სომეხი იყო „აკოფ-ფაშა“. ეხლაც სულტანის საკუთარი ხაზინის მინისტრი სომეხია „ფორთოგალიან ფაშა“ სხვაც ბევრნი არიან აქ სომხები, რომლებსაც თვალსაჩინო ადგილები უჭირავთ. აქაური სომხების ინტელიგენცია თითქმის ყველა ევროპიულად არის განათლებულ-განვითარებულნი, მხოლოდ ამათი განათლება უფრო ეკონომიურია ვიდრე პოლიტიკური, ყოველივე მათი აზრი ფულის მოგებასა და უზრუნველ ცხოვრების მოხვეჭასა აქვს მონდომებული. პატრიოტობა გულში თუ აქვთ, თორემ საქმით ან ფულით არ იზმენ. ისეთ ნაირათ გაუმსჭვალავს ამათი გული ფულის სიყვარულს, რომ სხვას არას დასდევენ, ოღონდ ფული მოიგონ სახლები და დუქნები აიშენონ.

ამდენის ხნის სომხების მოძრაობაში ერთს სტამბოლის მცხოვრებს სომეხს ვერ შეხვდებოდით, სულ კავკასიისა და სხვა გარეშე ქვეყნების სომხები იყვნენ მომქმედ-მოთავენი, მაგალითებრ, პატრიკოვი, დონაპეტიანი და სხვა მრავალნი. როცა პატრიკოვი დაიჭირეს, ერთი აქაური სომეხი არ გამოჩენილა, რომ სიტყვითა, საქმით და ან ფულით რამე შემწეობა აღმოეჩინათ მისთვის. თათრები ამათზედ ისე გამწყრალი არ არიან, როგორც ეს ჩანს ზოგან, და როგორც სხვებსა ჰქონიათ. როცა დონაპეტიანი დააპატიმრეს, ერთი წელიწადი ისე იჯდა საპყრობილეში, რომ ერთი სომეხი არ გამოჩენილა, რომ მისულიყო და ენახა იგი, ან ერთი სიტყვა დაეხარჯა იმისთვის. ოსმალეთის მთავრობა, დონაპეტიანს რომ თავდები ეშოვნა, გაანთავისუფლებდა, მაგრამ სად იყო? წინედ ყველა აქაურ უმაღლესს საზოგადოებაში პატივცემული და მიღებული, კაციაი რასსწერდა ერთხელ საპყრობილიდან თავისს ერთს მეგობარს. „ძვირფასო მეგობარო! მიკვირს ასე როგორ გალაჩარდნენ ყველა ჩემი მეგობრები — შენიანად, რომ იმის მაგიერ რომ მოვიდნენ, მნახონ ან მითავდებონ, თურმე ასე უთქვამთ „ჩვენ დონაპეტიანს არ ვიცნობთო“. მე ნამდვილი მამულის სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული ვარ, თორემ დამერწმუნეთ, რომ ყველას ვაცნობებდი თავს. ჩემი ერთი სიტყვა საკმარისია, რომ ყველა ისინი, ვინც მე განზრახ უარს მყოფენ, ჩემთან შემობრძანდნენ და ჩემსავით ბაღლინჯოების მახვერპლნი გახდნენ, მაგრამ მე ამას არ ვიკადრებ, მხოლოდ ამას-კი გეტყვით ყველას, რომ, მელიას თქმისა არ იყოს „რაც თქვენ მაგ ჰკუითა და მაგ აზრით ქვეყანა გაიშენოთ, ის მე დამაქადნეთ“. ამ წერილის წაკითხვას ვერც-კი ჰბედავდა ეს ვითომდა მისი მეგობარი. ეს წერილი პაპიროსის ქაღალდზედ იყო დაწერილი. რა-კი აღარავინ აღმოჩნდა ამ კაცის მოსარჩლე, ის გაჰგზავნეს ექსორიაში, შორეულს სათათრეთს, აკიაში, საცა ეხლაცა სცხოვრობს და უკიდურესს მდგომარეობაში არის. როცა აქაურს სომხებს ეტყვით, ამ რიგ კაცს შემწეობა უნდაო, ისინი ასე გიპასუხებენ, ვინც სასამართლოს ჩაუვარდება ხელში, ის ჩვენ უარი უნდა ვუთხრათ, რომ ჩვენც არ ვიქნეთ შეწუხებული და შევიძლოს მოგვცემოდა, თუნდა ... არ ...

გამო ჰყოფენ. ერთ კაპეიკს ვერვინ დაახარჯვინებს ამათ ამგვარს ან სხვა საქველ-მოქმედო საქმისათვის. თუ რამე რიგიანი აქვთ დღეს სომხებს აქ, ან რამე საქველ-მოქმედო დაწესებულება გააჩნდებათ, სასულიერო წოდებას უნდა უმადლოდნენ. მართლაც, სომხების სასულიერო წოდება დიდნი მოღვაწენი და შეუდარებელნი მამულიშვილნი არიან, როგორც გრიგორიანებისა, ისე კათოლიკებისაც.

სტამბოლში ბევრნაირი ხალხი სცხოვრობს. ისეთი გვარი თითქმის არ არის ქვეყანაზედ, რომ სტამბოლში არ მოიძებნებოდეს, ერთი-ორი მაინც; აფრიკელებსა და ჩინელებსაც ხშირად ჰნახავს აქ კაცი. მხოლოდ ყველაზედ მეტი თათარი, ბერძენი და სომეხია; ამათ ხელშია დღეს მთელი აქაური აღებ-მიცემობა, ხელობა და მუშაობა. თათრები უფრო სახელმწიფო სამსახურს ეტანებიან, ვაჭარი და მუშა ნაკლებად არის. ბერძნობა თითქმის ყველა ვაჭრობას მისდევს და სომხები-კი ყოველნაირ საქმეში არიან გართული. სომეხი მინისტრიც არის, მწერალიც, ვაჭარიც, მოხელეც და მუშაც. მეტი ნაწილი მუშისა სომხები არიან და ცოტა თათარი-ქურთებიც. თითქმის ყველა საბეჭდავები სომხების ხელშია, ყველა ამ საქმის მოხელეებიც თითქმის სომხები არიან, მოხელე ხალხის ფასი მუშა ხალხის ფასს სრულად არ აღემატება, კარგი მოხელე კაცი, აქ ორ მანეთზედ მეტს ვერ იღებს და უბრალო მუშას შეუძლია დღეში სამ მანეთამდის აიღოს.

ბერძნები აქ უფრო ღარიბები და გაუნათლებლები არიან, მაგრამ მაინც პოლიტიკურად სხვა ხალხზედ ძრიელ წინა სდგანან. ესენი დიდიდგან პატარამდის შესამჩნევი და საკვირველი მამულიშვილები არიან. როცა ასაკში შევლენ იქაური ბერძნების ბავშვები, მაშინვე ემზადებიან საბერძნეთის სამსახურში შესვლას. რიგი რომ არ მოუვიდეთ, ჯავრობენ. ამას წინად რომ ბრძოლა ჰქონდა საბერძნეთს ოსმალეთთან, თათრის ქვეშევრდომი ბერძნებიც-კი ჩუმად იპარებოდნენ და საბერძნეთის ჯარში ეწერებოდნენ! მარტო მამა-კაცი არ გეგონოთ ასეთები, დედა-კაცებიც თავგანწირული პატრიატები არიან. აქ ათასობით შეგიძლიანთ, აქაურს მკვიდრ მცხოვრებთა შორის, ისეთის ბერძნის ოჯახის პოვნა, რომ ერთი სიტყვა თათრული არ იცოდეს. მაშინ, როცა სხვა გვარში, ვინც აქ ცხოვრობს მუდამ, თითქმის ერთი არავინ მოიძებნება, რომ თათრული არ იცოდეს. აქ მდიდარი ბერძნებიც იყვნენ და ეხლაც არიან, მხოლოდ ისინი თავიანთ სიმდიდრეს მარტო თავიანთთვის არა ხმარობენ, სომხებსავით, არამედ სკოლებსა, საავადმყოფოებს, ეკკლესიებს და სხვა საქველ-მოქმედო საქმეს ახმარებენ.

პაწაწინა შენიშვნაც. „ივერიის“ 166 №-ის უცხოეთის წვრილ ამბავში იყო მოყვანილი ერთის ინგლისელის სტატისტიკისა, რომ დღეს დედა მიწას 5,994 მილიონის კაცის მეტის გამოკვება არ შეუძლიანო. ეს რიცხვი ას ოთხმოცდა-ერთის წლის შემდეგ უნდა შესრულდეს, ამის იქით კაცობრიობა ან უნდა დაიღუპოს ან არ უნდა გამრავლდეს. ამ ამბავმა გაგვახსენა მუხამედის სიტყვები, რომელიც ამბობს ყორანში: „ბინ-უჩიუზდა კალქამ, ბინიბეშიუზიათმამ“; (ათასს ამას წელს არ ავდგები და ათას ხუთას წელს არ დავწვებიო), ათას სამასი წელი ეთანასწორება თითქმის დღევანდელს ჩვენს წელთა-აღრიცხვას და ათას ხუთასი-კი იმ დროს, რომელსაც ინგლისელი სტატისტიკოსი ასახელებს ქვეყნის ბოლოდ. მუხამედის სიტყვებს, თათრების აზრით ეს მნიშვნელობა აქვს, რომ ათას სამას წლამდის (ჩვენებური 1890 წელი იქნებოდა თითქმის) ქვეყანაუეჭველად აარსებებს და ათას ხუთას წელს შემდეგ (ჩვენებურად 2070 წელს შემდეგ თითქმის) ბოლო უნდა მოეღლოს. თუ მუხამედის სიტყვები სარწმუნოებას არ შეეხება უნდა ვიგულისხმო, რომ ეს სიტყვები მუხამედს უკვე უთქვამს ინგლისის სტატისტიკოსზე ცამეტის საუკუნით ადრე.

ჩ.

## შემოწირულებანი

ს. თ. ქრელაშვილისაგან მიიღო რედაქციამ სამი მანეთი სასარგებლოდ ფონდისა, რომლის დანიშნულება არის დაეხმაროს დაზარალებულს ქუთაისს, მეორე დედა-ქალაქს საქართველოსას, თეატრის აღსადგენად.

ამ ფულისა გვქონდა 16 მან. 50 კაპ., მითი იქმნება 19 მან. 50 კაპ.

# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ-იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ-სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი **ა. მ. ტურბოვიჩი**. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**გ. ი. ფრანცუზსი**, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

**თესლეულობის დეპო შულცისა**

**მოადგილე მ. ი. ფედოროვსკი**

ფირმა არსებობს 1832 წლიდგან.

მოსკოვი, ბაღის ქუჩა, წითელ ჭიშ კარებთან, სახლი რაუზერისა.

სრული ნახატებიანი კატალოგი ბოსტნეულისა, ყვავილებისა და სოფლის მეურნეობის თესლეულობისა დაიბეჭდება 1894 წ. დეკემბრის თვეში. ჩვენს პატივცემულს მუდმივ ვაჭრებს კატალოგი უფასოდ გაეგზავნებათ. იმათი-კი, ვინც პირველად დაიბარებს კატალოგსა, კეთილ უნდა ინებონ და ოთხი შვიდ-შვიდ კაპიკიანი მარკა გამოგზავნონ. თუ სამს მანეთზედ მეტის თესლეულობას საფასურში დაიბარებენ, მაშინ ეს ფული ჩაერიცხებათ. ყველა თესლეულობა სამზღვარგარეთის ცნობილს მრეწველებისგან არის გამოწერილი და ჩვენს დეპოში შემოწმებული ამითი სიკეთე. ვისაც გამოწერა სურს რუსულად უნდა მოიწერონ.

(8—მ.—2)

**„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |

**აზნაური ეკატერინე დავითის ასული გაბაევისა და კნეინა მაგდან ივანეს ასული ჯანდიერისა**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ძმისა და მეორე დისწულისას **ივანე დავითის ძის პავლიაშვილისას** და სთხოვენ მობრძანდნენ აზნაურის ქუჩაზედ, წმინდა-გიორგის ეკკლესიაში, 5-ს ნოემბერს, დილის 9 საათზედ.

(2—1837—2)